Disboxan 450 Fassadenschutz

წყალდისპერსიული კონცენტრირებული გამჟღენთი, ფასადზე არსებული კლინკერის და სილიკატური აგურის, ქვიშაქვის, ბეტონის და ფაქტურული ბეტონის ბლოკებისთვის, ასევე მინერალური ბათქაშების და დანაფარების ჰიდროიზოლაციისათვის.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები	ჰიდრომაიზოლირებელი საგრუნტავი საშუალება შემწოვი მინერალური ზედაპირების გასაჟღენთად. ზრდის ყინვისა და მარილებისადმი მედეგობას. არ წარმოქმნის აპკს. ფხვიერ, ან ბაქტერიული დაბინძურების მქონე ზედაპირებზე არ გამოიყენება.
თვისებები	■ წყალში ხსნადი ■ სუსტი არომატის მქონე, ეკოლოგიურად უსაფრთხო ■ ამცირებს წყლის შესრუტვას ზედაპირზე ■ ზრდის ყინვისადმი და მარილებისადმი მედეგობას ■ ამცირებს ზედაპირზე ხავსის და სოკოს წარმოშობის რისკს ■ არ წარმოქმნის აპკს ■ ღია დიფუზურობის უნარით ■ ულტრაიისფერი სხივებისა და ტუტეებისადმი მედეგი ■ სწრაფად შრობადი ■ შესაძლებელია დაიფაროს Disbocret-ის დამცავი ფენით ■ Disboxan 450 Fassadenschutz-ი შესაბამისობა ბეტონის საღებავ ■ Disbocret 515 Betonfarbe-სთან დამოწმებულია ტესტით - TL/TP OS-b ZTV-ING ■ შეესაბამება ნორმებს EN 1504-2, DIN V 182026; ბეტონის ზედაპირული დაცვის სისტემები.
მასალის შემკვრელი	სილანების და ოლიგომერული ალკოკსისილოკსანების მიკროემულსია.
შეფუთვა	1 ლ. და 5 ლ.
ფერი	გამჭვირვალე
შენახვის პირობები	შეინახეთ გრილ ადგილას, მოარიდეთ ყინვას. ქარხნულად დახურული შეფუთვების შენახვის ვადა 12 თვე. არ შეიძლება პროდუქტის შენახვა მზეზე, ან 30C-ზე მაღალი ტემპერატურის პირობებში.
ტექნიკური პარამეტრები	სიმკვრივე: დაახლოებით 1,0 გ/სმ^3

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები	კლინკერის და სილიკატური აგური, ქვიშაქვა, ბეტონი, ფაქტურული ბეტონის ბლოკები, ცემენტის და კირის ბათქაშები, ასევე შემწოვი მინერალური დანაფარები. ღია ფერის ზედაპირებზე შესაძლებელია ტონის გამუქება. ზედაპირი უნდა იყოს სუფთა, მშრალი, ყინვაგამძლე, უცხო სხეულებისგან თავისუფალი. უნდა გამოირიცხოს ზედაპირზე წყლის მოხვედრა კედლის მეორე მხრიდან, ბზარების, ნაწიბურების, უხეში ფორების თუ სხვა მიზეზით.
ზედაპირის მომზადება	ზედაპირი უნდა მომზადდეს ხსნარის დასატანი მოთხოვნების შესაბამისად. Disboxan 450-ის საბოლოო ფენის დატანამდე უნდა შემოწმდეს ზედაპირის სიმყარე და სტაბილურობა.
პროდუქტის მომზადება	შეზავდეს სუფთა სასმელი წყლით 1 : 9 პროპორციით, რეკომენდირებულია ერთ ჯერზე გაზავდეს იმდენი პროდუქტი, რამდენის გამოყენებასაც შეძლებთ შეზავებიდან 12 საათის განმავლობაში. თუ პროდუქტი გამოყენებულ უნდა იქნას როგორც გამჟღენთი - ბეტონის ჰიდროიზოლაციისათვის, Disboxan 450-ი შეზავდეს წყალთან 1 : 4 პროპორციით.

დატანის მეთოდები	პროდუქტის დატანა ზედაპირზე შესაძლებელია ფუნჯით, ან მიფრქვევით მაგალითად დგუშიანი ტუმბოს მქონე Keller-ის ფირმის მიმფრქვევით, Gloria-ს ფირმის ბაღის მცენარეების მიმფრქვევით (შესაწამლით) ან SATA-ს ფირმის წნევიანი მიმფრქვევით). Airless მიმფრქვევის გამოყენება შესაძლებელია შემცირებული წნევის რეჟიმში. ზედაპირის შემწოვი უნარის შესაბამისად დაიტანეთ რამოდენიმე, (მინიმუმ 2) გამჟღენთი ფენა. ბეტონზე (თუ არ აპირებთ შემდგომი ფენის დატანას): დაიტანეთ 3 ფენა "სველი-სველზე" დატანის მეთოდით. შენიშვნა: ფანჯრები და შენობის მსგავსი ელემენტები დაიცავით პროდუქტის მოხვედრისგან. თუ პროდუქტი მოხვდა არასასურველ ადგილზე, მაშინვე გაიწმინდოს ონკანის წყლით, რათა არ წარმოიქმნას მყარი ლაქები. მკვრივი ზედაპირები - მაგალითად კლინკერი, მსუბუქი ბეტონი და ა.შ. დაახლოებით 2 საათის შემდეგ მოირეცხოს წყლით (სველი ნაჭრით ან ღრუბელით).
ხარჯი	გაჟღენთვა/დაგრუნტვა: დაახლოებით 200-400 მლ/მ2 გაზავებული მასალა ერთ ფენაზე, ზედაპირის შემწოვუნარობის მიხედვით (შეესაბამება 20-40 მლ/მ2 კონცენტრატს 1 : 9 პროპორციით გაზავების დროს).
გამოყენების პირობები	**ზედაპირის, ჰაერის და პროდუქტის ტემპერატურა:** მინიმუმ +5°C, მაქსიმუმ +30°C.
შრობის დრო	10° C ტემპერატურის პირობებში ზედაპირი შემდგომი სამუშაოებისათვის მზადაა 24 საათში. 30° C ტემპერატურის პირობებში - 6 საათში. მაქსიმალური ვადა შემდეგი ფენის დატანამდე: 5 დღე.
ხელსაწყოების წმენდა	გამოყენების შემდეგ ხელსაწყოები გაირეცხოს წყლით.

მითითებები

უსაფრთხოების ნორმები	სითხე და ორთქლი აალებადია! იწვევს თვალის მძიმე დაზიანებას. იწვევს კანის გაღიზიანებას. მოარიდეთ სიცხეს, მხურვალე ზედაპირებს, ნაპერწკლებს, ღია ცეცხლს და აალების სხვა წყაროებს. არ შეისუნთქოთ წარმოქმნილი "ღრუბელი". არ დაუშვათ პროდუქტის თვალში, კანზე და ტანსაცმელზე მოხვედრა. გამოიყენეთ მხოლოდ გარეთ ან კარგად ვენტილირებად სათავსოებში. მოარიდეთ ბუნებაში დაღვრას. გადაყლაპვისას: გამოიბანეთ პირი. არ გამოიწვიოთ ღებინება.
უტილიზაცია	მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებელია უტილიზირებულ იქნას როგორც ლაქის ან საღებავის დანაკარგი.
პროდუქტის კოდი საღებავები და ემალები	M-GP05
CE მარკირება EN 1504-2	CE-მარკირება დაფუძნებულია EN 1504-2 "მასალები და სისტემები ბეტონის სტრუქტურის შემცველი ზედაპირების შესარემონტელად და დასაცავად - ნაწილი 2: ბეტონის ზედაპირის დამცავი ფენები", რომელიც განსაზღვრავს ზედაპირის დაცვის პროცედურებს.იმ პროდუქტების მარკირება, რომლებიც შეესაბამება ზემოთ ხსენებულ სტანდარტს, ხდება CE ნიშნით. გერმანიაში, იმ შემთხვევებში, როდესაც გაზრდილია მოთხოვნა მშენებლობის გამძლეობის ხარისხზე, პროდუქტის გამოყენებისას არსებობს დამატებითი ნორმები. ამ პროდუქტის შესაბამისობის მარკირება ხდება "Ü" ნიშნით, რომელიც მითითებულია შეფუთვაზე არსებულ ეტიკეტზე. გარდა ამისა, ეს დამოწმებულია - დამოწმების სისტემა 2+ c კონტროლის, მწარმოებლის და აღიარებული ინსტანციების მხრიდან (Notified Body). სამშენებლო მასალებთან დაკავშირებული დირექტივის (89/106/EG) გათვალისწინებით, იმ პროდუქტების მარკირება, რომლებიც შეესაბამება DIN EN 1504-2 სტანდარტს, ხდება "მარკირება CE, DIN EN 1504 ნორმის თანახმად" შესაბამისად. მარკირება მითითებულია შეფუთვის ეტიკეტზე და ასევე შესულია ელექტრონულ ჟურნალში, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ მისამართზე: www.caparol.de
ტექნიკური კონსულტაცია	მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია
ალ. ქართველიშვილის ქ. N8, 0198 თბილისი საქართველო, office@caparol.ge